

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირისათვის საპროლეტარიატო კულტურის საბჭოს ორგანო

№ 105 (1275) | სპორტის, 2 სექტემბერი, 1958 წ. | ფასი 30 კაპ.

პროლეტარიატის კულტურის საბჭოს ორგანო


კვირას ბუღალტერული დაწყო... ევროპის IX ჩემპიონატი ცურვაში... წყალში ხტომასა და წყალბურთში...

ლზე გამოვიდა ავსტრიელი მასკენდი, ორმოსამელიანი ნავებით შეჯიბრება და მთავრდა ტიუკალვისა და ბერკუტოვის (საბჭოთა კავშირი) გამარჯვებით.

Table with 5 columns: Name, and four columns of numbers. Includes entries like 'სპარტაკი', 'ცსკ მო', 'დინამო' etc.

კულტურის საბჭოს 30 აგვისტოს, აქ შედგა მატჩი სსრ კავშირის პირველადი ფეხბურთის თამაშობა...

Table with 2 columns: Name and Name. Lists names like 'სპარტაკი', 'ცსკ მო', 'დინამო' and their corresponding names.



პროფკავშირების VI საკავშირო სპარტაკიადაზე ტანვარჯიშში აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მოიპოვა მოსკოველმა ა. კულაკოვმა.

ს ა გ ჯ ო თ ა სკორტსმენები იმარჯვებენ ოთხ და რვა-მოსასმელიან ნაპვიტ რ ბ ო ლ ა შ ი

ტალსა და კეტროსიანს 10,5 ქულა აქვთ თვითიულს

მოფარიაკვეთა მ ს ო ფ ლ ი ო პირველობა გრძელდება

ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა „საზოგადოებრივი ინსტრუქტორის“ სამეგრელო ნიშნით დააჯილდოვა: ვ. მამფორია—თამაქოს №2 ფაბრიკის უფროსი მექანიკოსი, ძირითადი საბჭოს თავმჯდომარე, მწვრთნელი ჭადრაკში, ლ. აკოფოვი — „ბიდრომეტპარიზის“ უფროსი ინჟინერი, ძირითადი საბჭოს თავმჯდომარე, მწვრთნელი მაგიდის ჩოგბურთში, ნ. დოლობერიძე — სტალინის სახ. რაიონის საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, კ. მირზოევი — ტტს-ის საზოგადოებრივი მწვრთნელი ფრენბურთში, ე. ფიციანი — პურის №2 ქარხნის ძირითადი საბჭოს თავმჯდომარე, მწვრთნელი მაგიდის ჩოგბურთში, შ. ხეთაგივილი — სახბანკის ძირითადი საბჭოს თავმჯდომარე, ნ. ნუგუბიძე—კავკასპროტრანსის საზოგადოებრივი მწვრთნელი ფრენბურთში, ნ. დეისაძე — ძირითადი საბჭოს თავმჯდომარე, გ. თავაძე — 26 კმ. სახ. რაიონის ფეხბურთის სექციის თავმჯდომარე, კ. არველიძე — ინჟინერი, საზოგადოებრივი მწვრთნელი ფრენბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში.

ახალი ხუთკიდის ჯამში წარმატებები

ფილატელფიაში მოფარიაკვეთა მსოფლიო პირველობაზე ახალი წარმატება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. ესპადრონით ვაჟთა გუნდური შეჯიბრების ფინალში გავიდნენ იტალიის, პოლონეთის, უნგრეთისა და ჩვენი ქვეყნის მოფარიაკვეთები. ფინალშივე საბჭოთა სპორტსმენებმა (ი. რილსკი, ლ. ტომეტი, ლ. კუზნეცოვი და უ. მაგლიზანოვი) ძლიერ განადგურდნენ 15:1 და ფრანგებს — 9:7.

მოსკოვის იპოდრომზე

დამთავრდა საქართველო პირად-გუნდური პირველობა ცხენოსნობაში. „გახსნის პრიზი“ მოიგო მოსკოველმა მხედრებმა. პირად ჩათვლაში უძლიერესი იყო ამ გუნდის წევრი ი. სკობლილოვი. „დიდი პრიზი“ შეჯიბრებაში ყველას აჯობა მოსკოველმა მხედარმა ს. ფილატოვმა (ცხენი „ინგასი“).

ცხენოსნურ სამედიცინო გამარჯვება მოიპოვა მოსკოველმა პირველთაშირეოსანმა ბ. კანკოვმა, ხოლო წინალობათა გადალახვაში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ბ. ლილოვმა.

გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს მოსკოველებმა. დენტა ტურნირში 7 მონაწილის დაშვების შესახებ (მათ შორის ერთი ქვეყნიდან შეიძლება მხოლოდ ოთხი მოქალაქის გამოცემა) და მიიღო მნიშვნელოვანი დადგენილება: მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის კანდიდატი გამოვლინდეს 8 პრეტენდენტის ტურნირში. ამასთან, მათ შორის შეიძლება 5 მონაწილე იყოს ერთი ქვეყნიდან, თუ რა თქმა უნდა, ისინი მოიპოვებენ ამის უფლებას. ე. ი. პრეტენდენტთა ტურნირში, რომელიც ადგილები უკვე განადგობული აქვთ სისილოვსა და კერესს, დაიშვება კიდევ არა ხუთი, როგორც ეს ადრე იყო, არამედ ზონალურ ტურნირებში გამარჯვებული 6 მოქალაქე, რომელთა შორის სამი შეიძლება საბჭოთა კავშირიდან იყოს.

პროტოროპის ტურნირი

14 ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრებისას პეტროსიანი ყაიმზე შეუთანხმდა ფიშერსა და ბრონშტინს. ავერბახი დამარცხდა ოლფასონთან, ფიშტერი — საბოსთან. პანო-ლარსენი და შერვინი-ბენკო შეთანხმდნენ ყაიმზე.

ფილატ-მ უახვალა გადაწყვეტილება

პროტოროპში მუშაობას განაგრძობს ფი დე-ს კონგრესი, რომელმაც ამ დღეებში გააუქმა თავისი წინანდელი გადაწყვეტილება მსოფლიო პირველობის პრეტენ-

ოთხი მატჩი

30 და 31 აგვისტოს სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სტალინებზე შედგა 4 ამხანაგური სპორტსმენების მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ამ ქვეყნების პირველი, მეორე, ახალგაზრდული და ჯაბუტა ნაკრები გუნდები.

1. მიზანი და ამოცანები

საქართველოს სსრ სპარტაკადა უნდა წარმოადგენდეს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობის შემოწმებას...

ა) ხელა შეუწყოს საქართველოს სსრ მოსახლეობის ფართო მასების შემდგომ ჩაბმას ფიზიკური კულტურისა და სპორტით რეგულარულ მეცადინეობაში;

ბ) სპორტის ძირითად და ეროვნულ სახეობათა ყოველმხრივ განვითარებას რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში, სპორტსმენთა მაღალი მიღწევების ზრდის სტიმულირებას...

გ) სპორტული ოსტატობის გამოცდილების ფართოდ გაზიარებას საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სპორტსმენთა შორის...

დ) ფიზიკური კულტურისა და სპორტის, როგორც მოსახლეობის განმრთვების განმტკიცების, მათი სოციალისტურ შრომისა და სამშობლოს დაცვასათვის მომზადების უმნიშვნელოვანესი საშუალება პრაქტიკად.

ე) უძლიერეს სპორტსმენტა შერჩევას და ხარისხიან მომზადებას საქართველოს სსრ ნაკრები გუნდებისათვის სპორტის სახეობათა მიხედვით სსრ კავშირის ხალხთა 1959 წლის მეორე სპარტაკადაში მონაწილეობისათვის.

III. სპორტული ორგანიზაციები, რომელშიც წინ უსწრებენ საქართველოს სსრ სპარტაკადას

საქართველოს სპარტაკადას წინ უსწრებს:

1958 წელს

მასობრივი შეჯიბრებანი და სპარტაკადები ფაბრიკებში, ქარხნებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სატრეკტოროსაზომონტო სადგურებში, სკოლებში, საშუალო და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში.

მოსწავლეთა სარაიონო, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური სპარტაკადები, რომლებსაც ატარებენ სახალხო განათლების ორგანოები.

პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებათა საქალაქო, სარაიონო, საოლქო, რესპუბლიკური სპარტაკადები, რომლებსაც ატარებენ საქართველოს სპორტსაზოგადოებანი და პროფკავშირი.

სოფლისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის სარაიონო, საოლქო, რესპუბლიკური სპარტაკადები, რომლებსაც ატარებენ სპორტსაზოგადოება "კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოება.

სპორტსაზოგადოება "დინამოს", "სპარტაკის", "შრომითი რეზერვებისა" და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საოლქო სპორტული კლუბის რესპუბლიკური სპარტაკადები.

მონაწილეობა მოსწავლეთა, სტუდენტთა, კოლმეურნე და სოფლის ახალგაზრდობის, პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა, "დინამოს", "სპარტაკის", "შრომითი რეზერვების", სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს საკავშირო სპარტაკადებში.

1959 წელს

მასობრივი შეჯიბრებანი და სპარტაკადები ფაბრიკებში, ქარხნებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, სატრეკტორო-სარემონტო სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებში, სკოლებ-

ში, საშუალო და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში.

რაიონებისა და ქალაქების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკათა სპარტაკადები, რომლებსაც ატარებენ ფიზკულტურისა და სპორტის შესაბამისი კომიტეტები.

სარაიონთაშორისო სპარტაკადა, რომელსაც ზონების მიხედვით ატარებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი.

ფიზკულტურული კოლექტივების, სკოლებისა და სასწავლო დაწესებულებათა სპარტაკადებში მონაწილეობასათვის დაიშვებიან ფიზკულტურულ ბო, რომლებსაც გავლილი აქვთ შესაბამისი მომზადება და ექიმის მიერ დამტკიცებული არიან შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის. სარაიონო და საქალაქო სპარტაკადებში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან საწარმოთა დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა, სარემონტო-სატრეკტორო სადგურების, სკოლებისა და სასწავლო დაწესებულებათა ფიზკულტურული კოლექტივებს გუნდები, რომელთა რიგებში არიან მშო კომპლექსის ნიშნისები.

ასს რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და სარაიონთაშორისო სპარტაკადებში დაიშვებიან რაიონებისა და ქალაქების უძლიერეს სპორტსმენტა ნაკრები კოლექტივები (სპორტსმენტებს უნდა ჰქონდეთ არანაკლები მესამე თანრიგი).

III. საქართველოს სსრ სპარტაკადის მონაწილე ორგანიზაციები, მონაწილენი და ჩატარების სისტემა

საქართველოს სსრ 1959 წლის სპარტაკადა ჩატარდება 3 ჯგუფად:

I ჯგუფი — აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის ნაკრები კოლექტივები.

II ჯგუფი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ქ. ფოთის, გორის, რუსთავისა და ქიათურის ნაკრები კოლექტივები.

III ჯგუფი — სარაიონთაშორისო ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებული ნაკრები გუნდები სპორტის ცალკეულ სახეობებში (სარაიონთაშორისო სპარტაკადის ფინალი).

რესპუბლიკურა სპარტაკადის პირველ ჯგუფში მონაწილეობისათვის დაიშვებიან სპორტსმენები, რომლებმაც 1958-59 წლებში აჩვენეს პირველი და მეორე თანრიგის შედეგები სპორტის სახეობათა მიხედვით (თბულების შესაბამისად); მეორე ჯგუფში — II თანრიგის სპორტსმენები; მესამე ჯგუფში — III თანრიგის სპორტსმენები, რომლებმაც ეს თანრიგი დაიტკიცეს ზონალურ შეჯიბრებებში.

გარდა ნაკრები გუნდებისა, ავტონომიური რესპუბლიკებიდან, ოლქიდან და ქალაქებიდან ფინალურ შეჯიბრებებში მონაწილეობენ საწარმოთა და დაწესებულებათა ფიზკულტურული კოლექტივების გუნდები სპორტის ცალკეულ სახეობებში (თითო გუნდი ყოველ სახეობაში).

ფიზკულტურული კოლექტივების გუნდების შემადგენლობაში უნდა იყვნენ ფიზკულტურელები, რომლებიც მოცემულ კოლექტივში ირაცხებიან არა ნაკლებ ერთი წლისა და შესრულებული აქვთ სპორტული კლასიფიკაციის II თანრიგის ნორმა ავტონომიურ რესპუბლიკათა, ავტონომიური ოლქისა და ქალაქების სპარტაკადებზე 1959 წელს. ამასთან, მონაწილეთა შემადგენლობაში დაიშვება ფიზკულტურის არა ნაკლებ ერთი მწვრთნელ-ინსტრუქტორი სპორტის ყოველ სახეობაში, ხოლო მძლეოსნობაში — ორი.

სპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის შეიძლება დამტკიცდეს იქნენ (კომპლექსური ჩათვისის გარეშე) ცალ-

კეული რაიონების გუნდები, რომლებიც შედგებიან არა ნაკლებ პირველი თანრიგის მქონე სპორტსმენტაგან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ნებართვით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში.

პირად შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის სპორტის ცალკეულ სახეობებში შეიძლება დაშვებულ იქნან მაღალკვალიფიციური სპორტსმენები, რომლებიც ვერ მოხვდნენ რაიონების, ქალაქების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში სპორტის შესაბამის სახეობაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის პერსონალთა ურთიერთ ნებართვით.

მონაწილეთა დამოსვლა სპარტაკადის პროგრამის რამდენიმე სახეობაში აკრძალულია.

IV. სპარტაკადის ჩატარების დრო და ადგილი

- 1. სარაიონთაშორისო სპარტაკადა ყველა ზონაში ტარდება 1959 წლის 23 მაისიდან 3 ივნისამდე.
2. რესპუბლიკური სპარტაკადა აფხაზეთის, აჭარის ასს რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ქ. თბილისისა, ქუთაისის, ფოთის, ქიათურის, გორის, რუსთავისა და სარაიონთაშორისო ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებული ნაკრები გუნდების მონაწილეობით ტარდება თბილისში 1959 წლის 13-დან 20 ივნისამდე.
3. საოლქო, საქალაქო და სარაიონო სპარტაკადები ტარდება ზონალური და რესპუბლიკური სპარტაკადების ვადების შესაბამისად.

V. სპარტაკადის ჩატარების ხელშეწყობა

საერთო ხელმძღვანელობას საქართველოს სსრ და სარაიონთაშორისო ზონალურ სპარტაკადებს მომზადებასა და ჩატარებაზე ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი.

საქართველოს სსრ სპარტაკადის პროგრამაში შეტანილ სპორტის სახეობებში შეჯიბრებათა უშუალო ჩატარებისათვის ქ. თბილისში იქმნება მთავარი სამსახო კოლეგია და სამსახო კოლეგიები სპორტის ცალკეულ სახეობებში რესპუბლიკურ სექციათა საბჭოს წარდგინებით.

ხელმძღვანელობას რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ავტონომიურ რესპუბლიკათა სპარტაკადების მომზადებასა და ჩატარების ახორციელებენ ფიზკულტურისა და სპორტის შესაბამისი კომიტეტები. შეჯიბრებათა უშუალოდ ადგილებზე ჩატარებასათვის იქმნება მთავარი სამსახო კოლეგიები და სამსახო კოლეგიები სპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით.

VI. საქართველოს სსრ სპარტაკადის პროგრამა

საქართველოს სსრ სპარტაკადის პროგრამაში შედის სპორტის შემდეგ სახეობანი:

- პირველი ჯგუფი
1. კალათბურთი (ვაე. ქალ.) 20 კაცი
2. კრივი 11
3. თავისუფალი ჭიდაობა 9
4. კლასიკური ჭიდაობა 9
5. ქართული ჭიდაობა 9
6. ველო-სპორტი (გზატყეცილი, ვაეები, ქალები) 19
7. წყალბურთი 10
8. ფრენბურთი (ვაე. ქალ.) 18
9. ტანვარჯიში (ვაე. ქალ.) 15
10. საბაადრო ნიშოსნობა და კანოე (ვაეები, ქალები) 29
11. ცენოსნობა 12

- 12. მძლეოსნობა (ვაე. ქალ.) 30
13. მოტოსპორტი 10
14. ცურვა (ვაეები, ქალები) 22
15. წყალში ხტობა (ვაეები, ქალები) 9
16. თანამედროვე ხუთჭიდი 5
17. ტყვიათ სროლა 20
18. სასტენდო სროლა 6
19. ჩოგბურთი (ვაეები, ქალები) 9
20. მაგიდის ჩოგბურთი (ვაეები, ქალები) 6
21. სიშიშვების აწევა 8
22. ფარეკაობა (ვაეები, ქალები) 16
23. ფეხბურთი 15
24. ჰიდრაკი 10
25. წარმომადგენელი და მომსახურე პერსონალი 13

სულ 340 კაცი

შენიშვნა: მწვრთნელები შედის გუნდების აღნიშნულ რიცხვობრივ შემადგენლობაში სპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით.

მეორე ჯგუფი

- I. კალათბურთი (ვაეები, ქალები) 20 კაცი
2. კრივი 11
3. თავისუფალი ჭიდაობა 9
4. ქართული ჭიდაობა 9
5. ველოსპორტი (გზატყეცილი) 9
6. ფრენბურთი (ვაეები, ქალები) 18
7. ტანვარჯიში (ვაეები, ქალები) 9
8. ცენოსნობა 12
9. მძლეოსნობა (ვაეები, ქალები) 20
10. ცურვა (ვაეები, ქალები) 10
11. თანამედროვე ხუთჭიდი 3
12. ტყვიათ სროლა 11
13. სიშიშვების აწევა 8
14. ფარეკაობა (ვაეები, ქალები) 9
15. ფეხბურთი 15
16. წარმომადგენელები და მომსახურე პერსონალი 8

სულ 181 კაცი

შენიშვნა: მწვრთნელები შედის

ა მ ხ ა
ფიზკულტურული სპორტი და მწვრთნელების ხელშეწყობა
ჩვენი ვალია ჩავატაროთ ამ ყველა ეტაპი ახალი წლიდან

გუნდების აღნიშნულ რიცხვობრივ შემაჯავრობებაში სპორტის ცალკეულ სახეობათა მახედეით.

სპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით მიღებული ქულების უმეტესი ჯამის მიხედვით.

მესამე ჯგუფი

(სარაიონთაშორისო სპორტკავშირის ფინალი)

- კალათბურთი (ვაჟ. ქალ.) 18
- ქართული ჭიდაობა 9
- ველოსპორტი (გზატკეცილი, ვაჟები, ქალები) 6
- ფრენბურთი (ვაჟ. ქალ.) 16
- ტანვარჯიში (ვაჟები, ქალები) 7
- მძლეოსნობა (ვაჟები, ქალები) 15
- ტყვიით სროლა 15
- სიმძიმეების აწევა 8
- ფეხბურთი 15

სულ: 100 კაცი

შენიშვნა: მწვრთნელები და წარმომადგენლები შედიან გუნდების აღნიშნულ რიცხვობრივ შემადგენლობაში სპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით.

შენიშვნები: პირველობა მესამე ჯგუფის შეჯიბრებებში განასაზღვრება მხოლოდ სპორტის ცალკეულ სახეობაში.

პირველი ადგილისათვის პირველ ჯგუფში ეძლევა 4 ქულა, მეორე ადგილისათვის — 3 ქულა და ა. შ.

პირველი ადგილისათვის მეორე ჯგუფში ეძლევა 5 ქულა, მეორე ადგილისათვის — 4 ქულა და ა. შ.

სპორტის რომელიმე სახეობაში გუნდის გამორეკონსტრუქციას კვლევით მოხდა შემთხვევითი აღმოჩენა 0 ქულა.

გუნდური პირველობის ჩათვლაში შედის იმ მონაწილეთა შედეგები, რომლებიც სპორტკავშირში აჩვენებენ თავიანთ თანრიგს (სპორტის ოსტატთათვის საკმარისია პირველი თანრიგის ჩვენება).

VIII. საქართველოს სსრ სპორტკავშირის გამარჯვებული გუნდებისა და მონაწილეთა დაჯილდოება

ფიზიკური კულტურის კოლექტივების გუნდებისათვის

- ველოსპორტი (გზატკეცილი, ვაჟები, ქალები) 9 კაცი
- სპორტული ტანვარჯიში (ვაჟები, ქალები) 7
- მძლეოსნობა (ვაჟები, ქალები) 15
- ტურვა (ვაჟები, ქალები) 7
- სიმძიმეების აწევა 8

სულ 46 კაცი

- ნაკრები კოლექტივები, რომლებიც პირველ საერთო გუნდურ ადგილს დაიკავებენ პირველ და მეორე ჯგუფებში, დაჯილდოვდებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი პრიზებით.
- ნაკრები კოლექტივები, რომლებიც მეორე და მესამე საერთო გუნდურ ადგილებს დაიკავებენ პირველ და მეორე ჯგუფებში, დაჯილდოვდებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის მსახურისა და სახეობის დიპლომებით.
- გუნდები, რომლებიც დაიკავებენ პირველ, მეორე და მესამე ადგილებს პირველ, მეორე და მესამე ჯგუფებში სპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით, დაჯილდოვდებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის მსახურისა და სახეობის დიპლომებით.
- სპორტკავშირის პირველობაზე პირად ჩათვლაში გამარჯვებულებს სპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით და სპორტკავშირის პირველი ჯგუფის გამარჯვებულებს სპორტულ თამაშებში და სხვა გუნდურ სახეობებში, მიენიჭებათ საქართველოს სსრ 1959 წლის ჩემპიონის წოდება და დაჯილდოვდებიან ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის მეტონებისა და I ხარისხის დიპლომებით.
- სპორტკავშირის პირადი პირველობის მონაწილეები, აგრეთვე გუნდების წევრები სპორტულ თამაშებში და სხვა გუნდურ სახეობებში, რომლებიც დაიკავებენ მეორე და მესამე ადგილებს პირველ ჯგუფში, სპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით, დაჯილდოვდებიან ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის მეტონებისა და შესაბამისი ხარისხის დიპლომებით.

VII. სპორტკავშირის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაჯილდოების განმარტების წესი

სპორტკავშირის საერთო გუნდური პირველობა პირველ და მეორე ჯგუფებში განასაზღვრება მონაწილე კოლექტივების მიერ პირველობის საერთო გუნდურ პროგრამაში შემავალ

შენიშვნა: ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთისა და წყალბურთში მეტონებით დაჯილდოვდებიან მთლიანად რომელიმე სახეობაში მონაწილე ყველა მოთამაშეები, რომლებსაც ჩატარებულა აქვთ თამაშების არანაკლებ 50 პროცენტი სპორტკავშირის კალენდრის მიხედვით.

სპორტკავშირის მონაწილეებს, რომლებმაც დაიკავეს პირველი, მეორე და მესამე პირადი ადგილები მეორე და მესამე ჯგუფებში, გადაეცემათ ფიზიკური კომიტეტის მოწმობები.

მწვრთნელები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პირველ ადგილებზე გამოსული გუნდების ჯგუფებას მიხედვით და 1959 წლის საქართველოს ჩემპიონები სპორტის ცალკეულ სახეობებში: დაჯილდოვდებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სიგელებით.

IX. მონაწილე ორგანიზაციათა და ცალკეულ მონაწილეთა მიღების პირობები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი თავისთავს იღებს სპორტკავშირის მონაწილეთა დაბინავებისა და კვების ხარჯებს იმ პერიოდისათვის, რომელიც დადგენილია ქ. თბილისში რესპუბლიკურ სპორტკავშირსა და ადგილებზე სარაიონთაშორისო სპორტკავშირების ვადებით. ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მონაწილეთა შეჯიბრებებში მივლინებასთან, გაიღებენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესაბამისი კომიტეტები.

X. განაცხადების წარდგენის პირობები და წესი

წინასწარი განაცხადები სარაიონთაშორისო და რესპუბლიკურ სპორტკავშირებში მონაწილეობაზე, აგრეთვე განაცხადები პირად შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის უნდა გაეგზავნოს სპორტკავშირის მთავარ სამსახურ კოლეგიას (ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. № 4) არა უგვიანეს 1959 წლის 10 მაისისა.

სპორტკავშირის მონაწილეთა საგანაცხადო სიები დადგენილი ფორმის მიხედვით ორგანიზაციათა მიერ უნდა ჩაბარდეს სპორტკავშირის სამინისტროსთან სპორტკავშირის დაწესებამდე არა უგვიანეს 3 დღით ადრე.


სახელობითი განაცხადის გარდა უნდა ჩაბარდეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, ქალაქებისა და სარაიონთაშორისო სპორტკავშირების ანგარიშები და ოქმების ასლები, აგრეთვე ანეკდები სპორტული დღეგაგების პირად შემადგენლობაზე (დადგენილი ფორმის მიხედვით) და მონაწილეთა საქალაქოფიკაციო ბიულეტენი.

საქართველოს II სპორტკავშირის მთავარ სამსახურ კოლეგია

საქართველოს II სპორტკავშირის სპორტკავშირის მთავარ სამსახურ კოლეგია

- | | |
|---|--|
| <p>ინარკულიძე ბ. — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.</p> <p>ბუნიკოვი ი. — თავმჯდომარის მოადგილე.</p> <p>სახორცე ხ. — თავმჯდომარის მოადგილე.</p> <p>გაბიაშვილი თ. — საქართველოს ალკ. ცენტრალური კომიტეტის მდიანი.</p> <p>ღიბაძე ბ. — სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.</p> <p>გოგიანი ი. — საქართველოს პროფსაბჭოს კულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე.</p> <p>ნანიკვილი ბ. — დოსაფის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.</p> <p>რეზინაძე ბ. — ქ. თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.</p> <p>ბერიძე ზ. — სპორტსაზოგადოება „ბურვესტიის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.</p> <p>გაბიაშვილი ა. — საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დირექტორი.</p> <p>გონიანი ბ. — ამერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ფინანსმსახურის უფროსი.</p> <p>უგულავა ი. — გაზეთ „ლელოს“ რედაქტორი.</p> <p>მურგულია ბ. — ნუქიანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.</p> <p>ნაცვლიშვილი თ. — საქართველოს ალკ. ცენტრალური კომიტეტის ფიზიკური კულტურის განყოფილების გამგე.</p> <p>აბაშვილი ი. — სპორტსაზოგადოება „სპორტკავშირის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.</p> <p>სირბილაძე ნ. — სპორტსაზოგადოება „განთავის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.</p> <p>საგალავაძე ი. — სპორტსაზოგადოება „ლოკომოტის“ საგზაო საბჭოს თავმჯდომარე.</p> <p>პირველი ბ. — სპორტსაზოგადოება „შრომითი რევრეგის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.</p> <p>ხიჯაბა რ. — ფეხბურთის ასსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.</p> <p>შაშაძე მ. — აჭარის ასსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.</p> <p>არაგვიანი ბ. — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.</p> | <p>მოთიქია ა. — ქ. ქუთაისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.</p> <p>ტაბორელი უ. — ქ. ქუთაისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.</p> <p>ამულარია ი. — ქ. ფოთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.</p> <p>შარალავაძე ბ. — ქ. რუსთავის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.</p> <p>მანაგვიანი ბ. — ქ. გორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.</p> <p>დიასანიძე უ. — კალათბურთის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე.</p> <p>ფიშინავა თ. — კრივის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე.</p> <p>იორდანიანი ბ. — ქიდაობის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე.</p> <p>ვარდიანი ი. — ფრენბურთის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე.</p> <p>მისიანი ბ. — წყალბურთის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე.</p> <p>რევი ბ. — ნიშნობის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე.</p> <p>მიწანიანი ნ. — ტანვარჯიშის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე.</p> <p>იოსელიანი დ. — მძლეოსნობის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე.</p> <p>ბიბილაძე ბ. — ველოსპორტის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე.</p> <p>ნავროზიანი ბ. — მოტოსპორტის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე.</p> <p>ივაზიანი ბ. — მაგილის ჩოგბურთის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე.</p> <p>მუსახიანი უ. — ტურვის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე.</p> <p>დავლი ბ. — წყალში ნტომის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე.</p> <p>შაბაძე ბ. — თანამედროვე ნუთქების რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე.</p> <p>ლომიაძე ბ. — ტყვიით სროლის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე.</p> <p>ბურჯანაძე ბ. — სასტენო სროლის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე.</p> <p>გაბიაშვილი ბ. — ძალსისხლის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე.</p> <p>მიწანიანი ბ. — ფრენბურთის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე.</p> <p>ჯინგალიანი ბ. — ფეხბურთის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე.</p> <p>ფირცხალავა ბ. — ჰადრუის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე.</p> |
|---|--|

ნ ა გ ლ
ურედებო,
მ ე ნ ე ბ ლ
ნ ე დ ე ბ ლ
ბ ა ვ ა ლ ა თ
ი რ ი ს ხ ლ ს თ ა
ბ ი ლ ი ს მ გ ა ლ ა
ლ ა ლ დ ო ნ ა ვ ა
დი ლ ო ნ ი ს მ ი ა ბ ი ს
გ ა მ ო ვ ი კ ო ვ ო ტ
მ ა ტ ი ა ბ ა ბ ი.




ლაშქრობა კოლარულ ურალებში

სურათზე: ტურისტების
ლაშქრობა თვითნაკეთი ტივებით.
ფოტო ა. წიქრიძისა.

გაზეთი „პრადა“ ამას წინათ
წერდა, რომ ტურისტები არის დღეს-
დღეობის მიმზიდველი სახეობა, ფი-
ზიკური წრთობის, მშრომელთა კუ-
ლტურული დონის ზრდისა და აღ-
ზრდის მნიშვნელოვანი საშუალება,
რომ უკანასკნელ წლებში ჩვენში
შესამჩნევი გახდა ტურისტების პო-
პულარობა. მაგრამ აქვე აღნიშ-



კვირას გაიმართა მორიგი კა-
ლენდარული მატჩები „ბ“ კლასის
IV ზონის გუნდებს შორის. კალი-
ფორნია ადგილობრივმა „შახტიორ-
მა“ ანგარიშით 2:0 დამარცხა თბი-
ლისის ოსკ-ას გუნდი. ქუთაისისა
და არტემოვის ლოკომოტივთა
მატჩი დამთავრდა ფრედ 2:2. უშე-
დეგოდ (0:0) დამთავრდა კრანო-
ლარის „უზუნისა“ და ერევნის
„სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნ-
დების შეხვედრა.



მეჩვენებენ

სოფელ ჩუმლაყის საკიდაო სარ-
ბიელზე ჩატარდა კომპანების
მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი
შეჯიბრება ქართულ ტილოებში,
რომელშიც მონაწილეობდნენ ჩუმ-
ლაყის, ვეჯინის, შაშიანის, ბაქურ-
ციხისა და სხვა სოფლების კოლ-
მეურნეობათა საუკეთესო სპორტ-
სპეცელები.

კარგად ჩატარეს შეხვედრები
ა. ყოჩაშვილმა, კ. ოსიაშვილმა, ხ.
მანანიშვილმა, გ. მათიაშვილმა,
გ. მელქიშვილმა, კ. კობიაშვილ-
მა და სხვ.

დამთავრდა რაიონის პირველი-
ბის გათამაშება ფრენბურთში.
შეჯიბრებაში მონაწილე 17 გუნ-
დიდან ფინალში გავიდნენ ბაქურ-
ციხის სასოფლო-სამეურნეო ტექ-
ნიკუმისა და კოლმეურნეობის
გუნდები. გამარჯვება წილად
ხვდათ ტექნიკუმელებს.

თ. პოპიაშვილი

ახალციხე

ამ დღებში ახალციხეში იმყო-
ფებოდა მსოფლიოს ორგზის ჩემ-
პიონი ტანვარჯიშში ა. აზარიანი,
რომელსაც გულბილი შეხვედრა
შეუწყვეს.
აზარიანმა დამსწრეთ მოუხრო
საბჭოთა სპორტსმენების იმ დიდ
გამარჯვებებზე, რომელიც მათ
მსოფლიოს მასშტაბით მოიხვეჭეს.
დასასრულ გაიმართა სპორტული
სალამო, რომელშიც მონაწილეობა
მიიღო სტუმარმაც.

შ. პოპოლავაძე

ნული იყო ისიც, რომ ტურისტების
დანიერგვის საქმეში არასათანადო
ყურადღება ეთმობა ინსტრუქ-
ტორთა მომზადებას და საერთოდ
ტურისტების გაერცელებას.

პირველ ნაბიჯს, რომელიც გა-
დაიდგა მაღალი კვალიფიკაციის
ინსტრუქტორთა მომზადების საქ-
მეში, წარმოადგენს ამას წინათ პო-
ლარულ ურალში ჩატარებული სა-
კავშირო მნიშვნელობის ლაშქრო-
ბა. ამ საინტერესო ტურისტულ-
სასწავლო გადასვლაში მონაწი-
ლეობდა ჩვენი ქვეყნის 13 სხვა-
დასხვა ქალაქის 50 ტურისტი, რომ-
ელთა შორის იყვნენ თბილისელი
გ. ბერიშვილი და სოხუმელი ა.
წიქრიძე.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ა. წიქრიძის
ნაამბობს.

...პირველ დღევე გაგვაცა-
თეთრმა ღამემ. საღამოს 11 სა-
ათი იყო, თვალს რული ეკიდებო-

ორი რაიონის ახალციხეში შეხვედრა

ამას წინათ თბილისში მოეწყო
ლენინის სახელობის და გარეუბ-
ნის რაიონების ახალგაზრდობის შე-
ხვედრა, რომელიც მიძღვნილია კომ-
კავშირის მე-40 წლისთავს და
თბილისის 1500 წლისთავს.

ახალგაზრდებმა გამართეს სპო-
რტული გამოსვლები. საინტერესო
იყო გარეუბნის რაიონისა და
ქარხანა „პლასტმასის“ ფეხბურ-
თელთა მატჩი. მუშა სპორტსმე-
ნებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.
ბ. ხიდეშელი

აბასთუმნის კულტურის სახლის
საჯადრაკო კლუბში ამას წინათ
დამთავრდა რაიონის საჯადრაკო
პირველობა. ჩემპიონის სახელი და-
ისაკუთრა გ. ცისკარიძემ, რომელ-
მაც დააგროვა 14,5 ქულა. გამარჯ-
ვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა
კ. სეხოსიანი.

ბ. მანჯგალავაძე

სურათზე: ტურისტების მიმდი-
ნარეობა.

და, ბინდს კი პირი არ უჩანდა.
რის ვი-ვაგლახით ჩავეკიბა.

ასე დაიწყო ძნელი და საინტე-
რესო ლაშქრობა პოლარულ
ურალში. ექსპედიციას მიზნად
ქონდა გაველო რთული რელიე-
ფის ტრასა, ძირითადად საწყლოს-
ნო, უნდა გვეყოლია ტივით, ნავთა
და ბაიარით. მარშრუტი (514 კი-
ლომეტრი) იწყებოდა მდინარე-
ბის — პეჩორასი და პოდჩერემის
დინების საწინააღმდეგოდ, უღელ-
ტეხილ პელენაზის გადალახვით
და მდინარე სხუგორზე ჩამოსვლით
ლაშქრობის დასაწყის პუნქტში
— სოფელ უსტსიგორაში.

ექსპედიციის მონაწილენი დაყო-
ფილი ვიყავით ათეულებად, ჩვენს
შორის ექვსი ქალი იყო. ყოველ
ათეულს ჰქონდა თავისი ბაიარე-
ბისა და ნავების „ფლოტილია“.
სასამულე-საქმელი და მთელი ტუ-
რისტული საქურველო თანაბრად
იყო განაწილებული.

მეჯვრისხველთა გამარჯვება

გორის „დინამოს“ საკიდაო სარ-
ბიელზე ჩატარდა რაიონის სასოფ-
ლო საბჭოების პირად-გუნდური
პირველობა ქართულ ტილოებში.
შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ:
მეჯვრისხველის, ტინისხიდის, ხი-
დისთავის, დიცის, ზედდუღეთის,
კარაღეთისა და ბერშეთის კოლექ-
ტივები. გამარჯვება მოიპოვეს
მეჯვრისხველის მოქიდავეებმა.

ბ. რიონიშვილი



ჩვეულებით ნაგები და შეუღლებით
პეჩორასი. მართალია, მდინარე ერ-
თი შეხედვით ზანტად და მლორედ
მიეღინება, მაგრამ მისი დაძლევა
ნიშნებით ჩვენს ძალებს აღემატე-
ბოდა. ამიტომ ნავეს ვათრევდით
თოკებით, ისე, როგორც, ალბათ,
ბევრ თქვენთვის უნახავს ი. რე-
პინის სურათი — „ბურღალები“.
გვიხლადა უკაცრიელი ადგილ-
ბის ბუნება, დაბურული ტივათა-
გისი საიდუმლოებითა და მარ-
ლოდნელობებით. საკმარისია ცოტა
შორს შეხვიდე ტყეში, რომ გზა-
საც ვერ გაიგნებ. ნიადაგი აქ კაო-
ბინია, ამიტომ გარშემო ყურთა-
სმენა არაა კოლორებისაგან. ნაღი-
რი არ შეგვხვედრია. მხოლოდ
ერთხელ მოვკარი თვალი ტივის
ირემს. მდინარეში ბევრი თევზია,
ზოგი მათგანის სიგრძე მეტრზე
მეტსაც უდრის.

როცა ავედით მდ. პოდჩერემის
სათევში, გავეშალეთ ბანაკი და შე-
ვუღებეთ ქვეითი ლაშქრობის სამ-
ზღისის. უღელტეხილზე ყველაფე-
რი ზურგით უნდა გვეთრია. ბარგი
ბევრი გამოგვივიდა. ამიტომ უღელ-
ტეხილზე სამი გზა გავაკეთეთ და
თითოჯერ 35 კილოგრამი სიმძიმე
მიგვექონდა.

ყველაზე საინტერესო და ხალი-
სიანი გამოდგა მდინარე სხუგორზე
ჩამოსვლა. ჩვენი ხელით შევიკარი
ტივები, რომელიც ჩვეულებრივ
ულურსმოდ კეთდება — თვითუ-
ლი ტივი იკრება 6 ძელისაგან.
მდინარეს მრავალი მორევი აქვს,
რაც ტივისა და ნავის მართვის
დიდ ოსტატობას მოითხოვს. ნავი
(გასაბერი), რომ წამოედოს ქვას
მთელი საქურველი იღუპება. ერთ-
ხელ მოგვივიდა კიდეც ასე და ღი-
დი ზარალი განვიცადეთ.

გარდა იმისა, რომ ვიწრობო-
ლით ფიზიკურად, ყოველი ჩვენთა-
განი აწარმოებდა აგრეთვე ფლო-
რისა და ფაუნის აღწერას, გიოგ-
რაფიული თვალსაზრისით გარემოს
შესწავლას.

ლაშქრობამ მის მონაწილეებს
ბევრი რამ შეგვიქონა და პირველ
რიგში დიდი გამოცდილება, რაც
საკუთარს იქნება ჩვენს რესპუბლიკა-
ში ტურისტების განვითარებისათვის.
ოსტატობის მოსაპოვებლად ტუ-
რისტმა მონაწილეობა უნდა მიი-
ღოს მესამე კატეგორიის სიძნელის
სამ ლაშქრობაში. მე მონაწილეობა
მივიღე ქვეითი და საწყლოსნო
ლაშქრობაში. ახლა განზრახული
გვაქვს აფხაზეთში მოვაწყოთ სა-
თხილამურო ლაშქრობა, რომლის
დროს უნდა გავიაროთ 300 კილო-
მეტრი. ეს მომავლის საქმეა, რა-
შიც ალბათ დაგვეხმარებდნენ შემ-
დგომი ორგანიზაციები.

დასასრულს მინდა აღვნიშნო,
რომ დროა ჩვენში მეტი ყურად-
ღება მიექცეს მასობრივ ტურისტს
და მომზადდეს ინსტრუქტორთა
კადრები.

სისურვებსა და ჩემოვანებს სამეურნეო

12-საათიანი რბოლა

სპორტული ავტომანქანებით მსო-
ფლიო პირველობის გათამაშების
მეორე ეტაპი იყო 12-საათიანი
რბოლა რეალურ ტრასაზე (სიგრ-
ძე 8,3 კილომეტრი). იგი გაიმარ-
თა სეპირინგის აეროდრომზე (აშშ,
კალიფორნია). მეორე ეტაპმა გა-
მარჯვება მოუტანა „ფორარის“
ფირმას, რომლის მანქანებმა ორი
პირველი ადგილი მოიგეს.

რბოლის ჩემპიონებმა პიტერ
კოლინზმა და ფილიპ ჰილმა 12
საათში გაიარეს 200 წრე — დაახ-
ლოებით 1.660 კმ, და გააუმჯობე-
ეს ამ ტრასის რეკორდი, რომელ-
იც დამყარებულ იქნა ვასულ
წელს (197 წრე). ამასთან, ისიც
უნდა აღინიშნოს, რომ ძველი რე-
კორდი (ავტორები ზუან ფანციუ
და ეან ბერა) ნაჩვენებია იქნა 4,5-
ლიტრიანი ავტომანქანაზე — „მა-
ზერატი“, ხოლო ახალი სარეკორ-
დო დრო კი—3-ლიტრიანი ავტო-
მანქანაზე.

შეჯიბრებაში მეორე ადგილზე
გამოვიდნენ ლუწვი მუსო და გენ-
დებიანი. 2 ლიტრამდე სამუშაო
მოცულობის მქონე სპორტულ ავ-
ტომანქანებზე გამარჯვება მოიპო-
ვეს ზეიდელმა და შელიმ (ავტო-
მანქანა „პორშე“).

აბსოლუტური ჩემოვანებისათვის ბრძოლა

აბსოლუტური მსოფლიო რეკო-
რდი ადგილიდან 1-კილომეტრიან
დისტანციაზე დამყარებულ იქნა
1937 წელს მაინის ფრანკფურტის
ავტოსტრადანზე გერმანელ ბერნდ
როზემეიერის მიერ. მისმა მანქა-
ნამ „აუტოტონომმა“ მანძილი და-
ფარა 19 წამში, რაც უდრის 188,7
კილომეტრს საათში. ეს მიღწევა
დიდხანს ვერავინ გაუმჯობესა.
მხოლოდ ამას წინათ, ამერიკელმა
რეისმა „კრეისლერის“ ტიპის ავ-
ტომანქანით კიდევ უფრო მაღლა
ასწია სარეკორდო მაჩვენებელი.
1-კილომეტრიანი დისტანცია რეი-
სმა ადგილიდან დაფარა 18,1 წამ-
ში, რაც საათში 198,97 კილო-
მეტრს უდრის.

სამართვლოს თასჯე

31 აგვისტოს თბილისის „დინა-
მოს“ სტადიონზე შედგა ნახევარ-
ფინალური მატჩი საქართველოს
სსრ თასზე ფეხბურთში. ერთმა-
ნეთს შეხვედნენ თბილისის ტრამ-
ვაიტროლებს და მათგანს სსრ-
ისა და ბათუმის „დინამოს“ გუნ-
დები.

ანგარიში გახსნეს თბილისელებ-
მა, მაგრამ დინამოელებმა შექლეს
საპასუხო ბურთის გატანა და თა-
მამის ძირითადი დრო დამთავრდა
ფრედ — 1:1.

დამატებით დროში ბათუმელმა
ენერგიულად, დიდი მონღომებით
ითამაშეს და მოწინააღმდეგის კარ-
ში გაიტანეს 2 „შრალი“ ბურთი.
ბათუმის „დინამომ“ გაიმარჯვა
ანგარიშით 3:1.

ამრიგად, ფეხბურთში საქართვე-
ლოს თასის ფინალში ვაიდიდნენ
ბათუმის „დინამო“ და ფოთის
გუნდი.

რედაქტორი ი. შუშლავაძე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები:
რედაქტორის 8-89-82, მდივნისა და განყოფილებების 8-90-84.